დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 30 მარტის #03/02 ბრძანებით მიღება-განთავსების სპეციალისტის პროფესიულ პროგრამაზე მიღებულ იქნა 9 პროფესიული სტუდენტი, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ პროგრამაზე - 9 პროფესიული სტუდენტი. სულ დაწესებულებას მიღებული ყავს 28 პროფესიული სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები და შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge), სადაც სწორად და ვადების დაცვით იყო ასახული პროფესიულ სუდენტებთან დაკავშირებული ინფორმაცია. შემოწმდა, თუ როგორ მოხდა პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვება, რაც შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ წესს. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ინახება მასთან გაფორმებული ხელშეკრულება. ორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

პროფესიული სტუდენტი არის არასრულწლოვანი და ხელშეკრულებაზე ხელს აწერს მათი მეურვე. ხელშეკრულებაში არის მუხლი რითიც დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები გაცნობილნი არიან დაწესებულების დებულებას და შრომის შინაგანაწესს. შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მუხლი 25. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია დებულების, აკადემიის სხვა შიდასამართლებრივი აქტების უხეში ან/და სისტემატური დარღვევა, რაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს აკადემიას, მის პროფესიულ სტუდენტებს, თანამშრომლებს. თუმცა არსად არ არის განმარტებული რომელი დარღვევა ითვლება უხეშ დარღვევად და რა ითვლება მნიშვნელოვან ზიანად.

დაწესებულებას არ ჰქონია მობილობის და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემთხვევები. ასევე სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევები.

რეკომენდაცია:

დებულებაში ან შინაგანაწესში გაიწეროს რომელი დარღვევა წარმოადგენს უხეშ დარღვევას და ასევე რა ოდენობის ზიანი წარმოადგენს მნიშვნელოვან ზიანს

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალი №02/01 ბრძანებით
- შრომის შინაგანაწესით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 07 თებერვალის № 06/01 ბრძანებით
- დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 6 მარტის #02/02 ბრძანებით - მიღება-განთავსების სპეციალისტის და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ
- დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 30 მარტის #03/02 ბრძანებით - მიღება-განთავსების სპეციალისტის და ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მიღების შესახებ
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge)–ით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

დაწესებულება წარმოადგენს სკკა - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრს რის ფარგლებშიც კერძო კოლეჯებს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი და აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტებისათვის მობილობის ხელშეწყობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალის №02/01 ბრძანებით
- სკკა - საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრებთან გაფორმებული მემორანდუმით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი, რომლითაც განსაზღვრულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების პროცედურები. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელსაც ზემოთხსენებული დებულების თანახმად, დაკისრებული აქვს ხარისხის განვითარებისა და მართვის პროცედურებისა შემუშავება და განხორციელება აკადემიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების კითხვარები პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებამ პროგრამების განხორციელება 2018 წლის აპრილში დაიწყო, ეს კითხვარები ჯერ შევსებული არ არის. საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება ხდება სასწავლო წლის დასრულების შემდგომ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალის №02/01 ბრძანებით
- დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 9 თებერვლის ბრძანებით SWOT ანალიზის დამტკიცების შესახებ

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება ფლობს ქალაქ ბათუმში ფარნავაზ მეფის ქ. №116 404,17 კვ.მ (საკადასტრო კოდი: [redacted] ფართის შენობას 2015 წლის 23 თებერვალს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით, რომლის მოქმედების ვადაა 2022 წლის 23 თებერვლამდე. ქირავნობის ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში (განცხადების რეგისტრაცია N [redacted] - 23/02/2015)

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1	ქალაქი ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №116	404,17

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2015 წლის 23 თებერვალს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებით
- ამონაწერით საჯარო რეესტრიდან - განცხადების რეგისტრაცია N [redacted] - 23/02/2015

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო დაწესებულება განთავსებულია სამსართულიან შენობაში. საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება შენობის სამივე სართულზე. სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ ერთადგილიანი მერხებითა და სკამებით, დაფებით, კომპიუტერული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

ტექნიკითა (კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები) და ინტერნეტის ქსელით. მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის დაწესებულებას გააჩნია 7 ოთახი (4 – A, 1 – B და 2 – C ტიპის გარემო). პირველ სართულზე განთავსებულია ორი C ტიპის გარემო მიღება-განთავსების სპეციალისტის პროგრამისთვის. შენობის მეორე სართულზე განთავსებულია ერთი კომპიუტერული კლასი (B ტიპის გარემო) და ერთი სასწავლო ოთახი (A ტიპის გარემო). სამი სასწავლო ოთახი (A ტიპის გარემო) განთავსებულია შენობის მესამე სართულზე. გარდა ზემოთჩამოთვლილისა, დაწესებულებაში არის კიდვ ოთხი ოთახი: მეორე სართულზე განლაგებულია ადმინისტრაციის ოთახი და სამასწავლებლო, მესამე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა და შენობის ე.წ. მანსარდაში მოწყობილია სამუშაო/საკონსულტაციო შეხვედრების ოთახი. ბუღალტრის (მეხუთე საფეხური) მოდულური პროგრამისათვის გამოყოფილია ორი ოთახი: ერთი A ტიპისა (27 კვ. მ) და ერთი B ტიპის (22,6 კვ. მ) გარემო. პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილი ფართები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. აღჭურვილობა შეესაბამება მოდულურ პროგრამებში მოცემულ ინვენტარს და საკმარისია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

მიღება-განთავსების სპეციალისტის (მესამე საფეხური) მოდულური პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში არსებობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთი A ტიპისა და ორი C ტიპის გარემო: სასტუმრო ოთახის სახელოსნო (C გარემო) - სიმულაციის ოთახი (35 კვ. მ), აბაზანის ოთახი (12 კვ. მ) და სასტუმროს უსაფრთხოების სახელოსნო (C გარემო, 17,33 კვ. მ). პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილი ფართები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. აღჭურვილობა შეესაბამება მოდულურ პროგრამებში მოცემულ ინვენტარს და საკმარისია პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- შესყიდვის დოკუმენტაციით
- მიღება-ჩაბარების აქტებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას გააჩნია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები განლაგებულია ორ სართულზე, პირველ სართულზე განლაგებული სველი წერტილი ადაპტირებულია შშმ პირებისათვის. არის ბუნებრივი განათების შესაძლებლობა, გათბობის საშუალებები (ელექტრო ღუმელები).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- წყალმომარაგების თაობაზე 2015 წლის 16 სექტემბრის #4253 ხელშეკრულებით
- ენერგო პრო ჯორჯიასთან გაფორმებული 2015 წლის 5 ოქტომბრის #6323-1/1-15 ხელშეკრულებით
- კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ბიბლიოთეკას ცალკე სამკითხველო დარბაზი არ გააჩნია, თუმცა აქ განთავსებულია ორი მაგიდა და რამდენიმე სკამი, რაც შესაძლებელს ხდის ბიბლიოთეკაში მუშაობას პროფესიული სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ორი კომპიუტერი და ერთი პრინტერი, ანბანური ბარათული და ელექტრონული კატალოგები. ეს უკანასკნელი განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

დაწესებულების ვებ-გვერდზეც. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გაწერილია დაწესებულების შრომის შინაგანაწესში. დაწესებულების წიგნადი (ნაბეჭდი) ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო სტანდარტის მიხედვით. ფონდი შეტანილია საინვენტარო წიგნში.

შემთხვევითი შერჩევის წესით გადამოწმდა მოდულებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული). ყველა მათგანი აღმოჩნდა ადგილზე.

ბიბლიოთეკის სამუშაო საათები განისაზღვრება შრომის შინაგანაწესის 7 მუხლით ყოველდღე კვირის გარდა, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, ხოლო შაბათს 10.00 საათიდან 14.00 საათამდე. ამავე მუხლის მეორე პუნქტით აკადემიასი დაწესებულია ხუთრიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, შაბათი სამუშაო დღეა მხოლოდ დაწესებულების ბიბლიოთეკისთვის. ვიზიტის პროცესში დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 მაისის ბრძანებით ბიბლიოთეკის სამუშაო კვირად ითვლება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

შრომის შინაგანაწესის 7 მუხლის 5 პუნქტის თანახმად: ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე გარდა კვირისა: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

რეკომენდაცია:

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გაასწოროს შრომის შინაგანაწესის 7 მუხლის 5 პუნქტში არსებული ტექნიკური შეცდომა და ჩამოაყალიბოს შემდეგი სახით: ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვისათვის, ასევე დაწესებულების მართვაში. აუდიტორიებში და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში. საგანმანათლებლო დაწესებულებაში არის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი კომპიუტერული კლასი.

დაწესებულებას 2015 წლის 25 აგვისტოს დადებული აქვს ხელშეკრულება დომენური სახელების სარგებლობის უფლების გადაცემის და ინტერნეტის მოწოდების შესახებ.

დაწესებულებას გააჩნია:

- 6 კომპიუტერი ადმინისტრაციისთვის
- ბიბლიოთეკა 2 კომპიუტერით და 1 პრინტერით
- 17 კომპუიტერი სტუდენტებისთვის
- დირექტორი - ერთი კომპიუტერი, ერთი პრინტერი, ერთი სკანერი

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით
- 2015 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით დომენური სახელის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
- 2015 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ინტერნეტით მომსახურების თაობაზე
- სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- საბუღალტრო ჩანაწერებით;
- ინვენტარიზაციის აქტით;
- შესყიდვის აქტებით;

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

დაწესებულებაში გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. დაწესებულებას გააჩნია შემოსული და გასული კორესპონდენციების ჟურნალი, ბრძანებების და ხელშეკრულებების ჟურნალი, სადაც მხოლოდ პროფესიულ მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებებია გატარებული, პროფესიული სტუდენტების ხელშეკრულებები ჟურნალში გატარებული არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების თავისი საქმისწარმოების წესის თანახმად არ აქვს ვალდებულება ხელშეკრულებების ჟურნალში გატარების, თუმცა ექსპერტებმა მისცეს რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამ ჟურნალში გაატაროს როგორც პროფესიული სტუდენტების ასევე პროფესუილი განათლების მასწავლებლების ხელშეკრულებები. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ბეჭედდასმულია და აკინძულია. ექსპერტებმა შერჩევითი პრინციპით შემოწმეს დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული რამოდენიმე ბრძანებება იყო თუ არა გატარება სარეგისტრაციო ჟურნალში და გამოიკვეთა, რომ ბრძანებები სწორად არის გატარებული ჟურნალში.

რეკომენდაცია:

დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიულ განათლების სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებების გატარება ხელშეკრულებების ჟურნალში

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დირექტორის 2016 წლის 02 თებერვლის №02/01 ბრძანებით დამტკიცებულ ადმინსტრაციული სამსახურის დებულებით
- დირექტორის 2016 წლის 01 თებერვლის №01/01 ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესით
- რეგისტრაციის ჟურნალებით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018წ.

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ა) დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულებას გააჩნია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. შენობის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრი.
ბ) შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა, რომელიც შემუშავებულია შპს „სახანძრო უსაფრთხოების" მიერ.
გ) შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების, ადმინისტრაციული სამსახურის დებულების და მისიის დამტკიცების შესახებ შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 2 თებერვლის 02/01 ბრძანების მიხედვით, აკადემიის შენობაში არსებობს სპეციალური კუთხე პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის, სადაც ინახება პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო მედიკამენტები. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს აკადემიის დირექტორის მიერ დანიშნული სამედიცინო განათლების მქონე პირი. ისეთი სამედიცინო დახმარების საჭიროებისა, რომლის კომპეტენციაც არ გააჩნია სამედიცინო სამსახურის უფროსს, გამოძახებული იქნება სასწრაფო დახმარების ბრიგადა. სამედიცინო დახმარების გაწევის მექანიზმები გაწერილია აკადემიის დირექტორის მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.
დ) დაწესებულების ადმინისტრაციული სამსახურის დებულების შესაბამისად, დაწესებულებაში არის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში. ობიექტის დაცვის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალის №02/01 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

- ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალის №02/01 ბრძანებით
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების შენობის ცენტრალუს შესასვლელსა და სამივე სართულზე ასასვლელ კიბეებზე დამაგრებულია მეტალის ასაკეცი პანდუსები. სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სველი წერტილი განლაგებულია შენობის პირველ სართულზე. დაწესებულებაში გამოყოფილია პირი (უსაფრთხოების თანამშრომელი), რომელიც უზრუნველყოფს შშმ და სსსმ პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალის №02/01 ბრძანებით
- ადმინისტრაციული სამსახურის დებულებით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 02 თებერვალის №02/01 ბრძანებით
- შრომის შინაგანაწესით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 07 თებერვალის №06/01 ბრძანებით
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას გააჩნია ვებგვერდი www.bsba.edu.ge, რომელზეც განთავსებულია: სიახლეები, სტატუსი, მისია, სტრუქტურა, დაწესებულების სამართლებრივი აქტები, საგანმანათლებლო პროგრამები, „კატალოგი"; წარმოსადგენი დოკუმენტები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ელექტრონული კატალოგი, ინფორმაცია მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ, დაწესებულების განვითარების გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტო გალერეა.
ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია და ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დაწესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ გვერდი www.bsba.edu.ge
- 2015 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით დომენური სახელის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
- 2015 წლის 19 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ინტერნეტით მომსახურების თაობაზე

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი, 2016-2022) და ერთწლიანი (2017-2018) სამოქმედო გეგმები. სტრატეგიული გეგმები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. სამოქმედო გეგმებში მოცემულია კონკრეტული აქტივობების აღწერა. მასში გაწერილია: დაგეგმილი აქტივობა, რა უნდა გაკეთდეს დაგეგმილი აქტივობების შესასრულებლად, ვინ არის პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები.

დაწესებულების დირექტორის მიერ 2017 წლის 11 თებერვალს გამოცემული 06/01 ბრძანებით დამტკიცებულია აკადემიის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2017-2018) და წინა წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2016-2017) შესრულების ანგარიში. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2017-2018), დაგეგმილ აქტივობაში პირველ ჩანაწერად გვხვდება „აბიტურიენტების მოზიდვა". ტერმინი „აბიტურიენტის" ნაცვლად, საგანმანათლებლო დაწესებულების სახეობიდან გამომდინარე, უნდა იყოს პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებამ გამოასწორა აღნიშნული უზუსტობა ვიზიტის მეორე დღეს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2018) შინაარსში გვხვდება შემდეგი სახის ჩანაწერი: „სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი მოხდება 2018 წლის თებერვლის ბოლოს." მიუხედავად ამ ჩანაწერისა, დაწესებულებას არ განუხორციელებია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2018) შესრულების ანგარიში მონიტორინგის ვიზიტის დღემდე. აკადემიამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2018) შესრულების ანგარიში მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 09 თებერვლის 08/01 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების გრძელვადიანი (6 წლანი) სამოქმედო გეგმით /2016-2022/
- შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2017 წლის 11 თებერვლის 06/01 ბრძანებით დამტკიცებული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით /2017-2018/
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2017-2018) შესრულების ანგარიშით

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის პირადი საქმეები. დაწესებულებას ადმინისტრაციაში ყავს რვა თანამშრომელი. დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ბიბლიოთეკარისა და ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს, რაც დასტურდება მათ პირად საქმეებში არსებული განათლების და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტებით. ადმინისტრაციული სამსახურის დებულების 8 მუხლში აღწერილია სამედიცინო სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობები. „ვ" პუნქტში არის ჩანაწერი: „ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებით, **შრომითი ხელშეკრულებით** და სასწავლებლის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას". სამედიცინო სამსახურის უფროსთან არ არის დადებული შრომითი ხელშეკრულება, რაც წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ ჩანაწერთან. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 მაისის #23/01 ბრძანებით ცვლილება შევიდა ადმინისტრაციული სამსახურის დებულების 8 მუხლის „ვ" პუნქტში და სიტყვა შრომითი ხელშეკრულება ამოღებულ იქნა.
მონიტორინგის პროცესში გადამოწმებულ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, სადაც განთავსებული არის პირის განცხადება, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, განათლების და სამუშაო სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. ასევე შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge) და დადგინდა რომ სწორად და სრულფსოვნად არის შეყვანილი მონაცემები. მათი უფლებები და მოვალეობები გაწერილია დირექტორის 2016 წლის 02 თებერვლის №02/01 ბრძანებით დამტკიცებულ ადმინსტრაციული სამსახურის დებულებაში.
დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან არ არის დადებული შრომითი ხელშეკრულებები, რაც არ ეწინააღმდეგება დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულ პერსონალის აყვანის წესს, სადაც მესამე მუხლში მითითებულია, რომ პერსონალთან იდება შრომითი ხელშეკრულება ან ფორმდება ბრძანება კანდიდატის შესაბამის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ. პერსონალი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებებით, უნდა აღინიშნოს რომ პერსონალის პირად საქმეებში არ დევს დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

ისინი იცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს, თუმცა პერსონალის ნაწილთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იცნობენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს, სამუშაოს ხანგრძლივობას და დაწესებულების შინაგანაწესს. შინაგანაწესი დაწესებულებას შენობის პირველ სართულზე კედელზე გაკრული აქვს (ამობეჭდილი სახით).

შრომის შინაგანაწესის 7 მუხლის 2 პუნქტით აკადემიაში დაწესებულია ხუთ დღიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, შაბაში სამუშაო დღეა მხოლოდ ბიბლიოთეკისთვის 10.00 საათიდან 14.00 საათამდე.. ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჰყავს მხოლოდ ერთი ბიბლიოთეკარი მისი სამუშაო საათები კვირაში აღემატებოდა 40 საათს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შაბათ დღეს სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობს. ვიზიტის პროცესში დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 მაისის ბრძანებით შრომის შინაგანაწესის 7 მუხლის 5 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ბიბლიოთეკა მუშაობს **ყოველ დღე გარდა კვირისა**: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, რაც მექანიკური შეცდომაა, რადგან მითითებულია ყოველ დღე გარდა კვირისა, ხოლო სამუშაო საათებში მითითებულია მხოლოდ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

რეკომენდაცია:

ადმინისტრაციულ პერსონალთან გაფორმდეს ხელშეკრულებები, სადაც ნათლად იქნება გაწერილი ფუნქცია მოვალეობები და ა.შ. ან ბრძანებით დანიშვნის შემთხვევაში პერსონალის პირად საქმეში იდოს პერსონალის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი სადაც იკვეთება რომ იცნობს შესასრულებელ სამუშაოს, სამუშაო საათებს და რომ გაცნობილნი არიან დაწესებულების შინაგანაწესს და ადმინსტრაციული სამსახურის დებულებას.

დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 02 თებერვლის №02/01 ბრძანებით დამტკიცებულ ადმინსტრაციული სამსახურის დებულებით
- დაწესებულების დირექტორის 2016 წლის 02 ტებერვლის №02/01 ბრძანებით დამტკიცებულ შრომის შინაგანაწესით
- დაწესებულების დირექტორის ბრძანებებით პერსონალის დანიშვნის შესახებ
- პერსონალის პირადი საქმეებით.;
- ინტერვიურებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

- დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 8 მაისის #23/01 ბრძანებით - ადმინისტრაციული სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

შეფასება:

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 40 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომლებიც შერჩეულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები(მათ შორის ავტორიზაციის მიღების შემდგომ დაწესებულებაში ახალი დამატებული პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებიც). მათი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.
დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის რაოდენობაა - 28
დაწესებულებაში პროფესიული მასწავლებლის რაოდენობა - 40
დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის და პროფესიული მასწავლებლის თანაფარდობა - 28/40
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემაში (evet.emis.ge) სწორად იყო შეყვანილი სტუდენტების და მასწავლებლების რაოდენობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემიდან მიღებული ინფორმაცია (evet.emis.ge)
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეებით;
- პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, რაც ასახულია შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის შრომის შინაგანაწესში. შრომითი და მომსახურეობის ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით. თუმცაღა, მომსახურების ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული მითითებული მომსახურების საფასური შეიცავს თუ არა კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს, რამაც შესაძლოა გაურკვევლობა გამოიწვიოს დაქირავებულთა მხრიდან. ამასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ მითითებული ანაზღაურების საფასური მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს და ამის შესახებ ყველა დაქირავებულის ინფორმირება ხდებოდა ზეპირი ფორმით, ხელშეკრულების დადებამდე.

რეკომენდაცია:
პროფესიული განათლების მასწავლებელთან დადებულ მომსახურების ხელშეკრულებებში განისაზღვროს, რომ მომსახურების საფასური მოიცავს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეებით
- შრომის შინაგანაწესით - დამტკიცებული შპს შავი ზღვის ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2016 წლის 07 თებერვალის №06/01 ბრძანებით
- პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებებით.

შეფასება:
☒ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)
1	მიღება-განთავსების სპეციალისტი	მესამე	მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (კოდი: 112065)	76	91	ქართული	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #116	12
2	ბანკის მოლარე-ოპერატორი	მესამე	ბანკის მოლარე-ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (კოდი: 020455)	67	82	ქართული	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #116	0
3	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	მეოთხე	სატრანსპორტო ლოგისტიკის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (კოდი: 040778)	98	128	ქართული	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #116	0
4	ბუღალტრული აღრიცხვა	მეხუთე	ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (კოდი: 020156)	99	129	ქართული	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. #116	16

IX. თანდართული დოკუმენტაცია

ჩაბარდა დასკვნის პროექტთან ერთად

22.05.2018

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018წ.